სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

მარშალ გელოვანის გამზ. N36ა
0159 თბილისი, საქართველო
(+995 32) 91 91 67
info@nfa.gov.ge

05 მარტი 2024

N 09/1970

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

პროგრამის კოორდინატორს

ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

№3-927 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის №3-912 შეტყობინების საფუძველზე სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ ზემოაღნიშნულ შეტყობინებაში დასახელებული ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლის - დოკუმენტური შემოწმებისას გამოვლენილ შეუსაბამობებზე განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, კერძოდ:

- ი/მ ხათუნა ჭელიძე - მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევისა და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის გამო სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად, დაჯარიმდა 500 ლარით და შეუჩერდა საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციამდე;
- ი/მ დავით ჯიქაძე - მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევის, ვადაგასული სურსათის რეალიზაციისა და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის გამო სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად, დაჯარიმდა 500 ლარით და შეუჩერდა საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციამდე;
- ი/მ დავით მუჯირიშვილი - ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში არასწორი რეგისტრაციის გამო სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად, დაჯარიმდა 500 ლარით. რაც შეეხება შეტყობინებაში დასახელებულ ასაწონ არაჟანს, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას აღნიშნული არაჟანი არ იყო რეალიზაციაში. მარკეტში სარეალიზაციოდ განთავსებული იყო დაუფასოებელი, ასაწონი რძის შემცველი პროდუქტი, რომლის შესაბამისი ეტიკეტიც წარმოადგინა ბიზნესოპერატორმა. შესაბამისად, შეტყობინებაში აღნიშნული სურსათის ნიმუში სააგენტოს არ აუღია.

ამასთანავე, როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის“ თანახმად, ნიმუშის აღების პროცედურა მოიცავს მოცემულ ობიექტზე სურსათის (მ.შ. მისი პარტიის) იდენტიფიცირებას. ვინაიდან ი/მ დავით ჯიქაძისა და ი/მ ხათუნა ჭელიძის კუთვნილ სარეალიზაციო ობიექტებში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ვერ მოხერხდა თქვენს შეტყობინებაში მითითებული სურსათის იდენტიფიცირება (მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევის ფაქტის გამო), სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა სათანადო წესით ვერ აიღეს კონკრეტული დასახელების საგამოცდო სურსათის ნიმუშები (ნიმუშის ასაღებად საჭიროა სურსათის შესაბამისი რაოდენობა - ერთი ეგზემპლარი საგამოცდო ლაბორატორიისთვის, ხოლო მეორე - რეფერენტული ნიმუში სააგენტოში შესანახად).

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი